საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/38

ქ. ბათუმი

03 ივნისი, 2022 წ.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიისა და 2018-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 28 ივნისის №40 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის, „ERASMUS+“-ის ინსტიტუციური განვითარების პროექტის ,,უნივერსიტეტების როლი რეგიონის განვითარებაში“ (ROLE OF UNIVERSITIES IN THE REGIONAL DEVELOPMENT – RURD, გრანტის ნომერი: 609741-EPP-1-2019-1-GE-EPPKA2-CBHE-SP) ბსუ-ში კოორდინატორის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოც. პროფ. ხათუნა ბერიძის სამსახურებრივი ბარათის (MES 0 22 0000406966, 19.04.2022) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შევიდეს ცვლილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიისა და 2018-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 28 ივნისის №40 დადგენილებაში, კერძოდ, **მისიის ბოლო პუნქტს დაემატოს ფრაზა** „სწავლა-სწავლების ინტერნაციონალიზაცია“ და ბსუ-ს მისია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს ერთ-ერთი ლიდერი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომლის მისიაა მოამზადოს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნება, ჩამოყალიბდეს ძლიერ საგანმანათლებლო-კვლევით ცენტრად და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში.

უნივერსიტეტი ახორციელებს პროფესიულ და აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს, ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებს, რომელთა მიზანია ჩვენი ქვეყნის მდგრადი განვითარება, მოსახლეობის სოციალური

კეთილდღეობა, ეკოლოგიური უსაფრთხოება და ეკონომიკური ძლიერება, ასევე ლიბერალური ღირებულებებისა და დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრება.

უნივერსიტეტი აცნობიერებს თავის განსაკუთრებულ მნიშვნელობას რეგიონის განვითარებაში და პრიორიტეტად მიაჩნია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურის კვლევები, შავი ზღვის ბიოლოგიისა და ეკოლოგიის შესწავლა, ფიტოპათოლოგიური კვლევები, ასევე აგრარული მიმართულებისა და ტურიზმის განვითარება.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ევროპული უნივერსიტეტების დიდი ქარტიის ფუნდამენტური პრინციპების ერთგულია, მისი უმთავრესი ღირებულებებია: ჰუმანიზმი, ღიაობა, ანგარიშვალდებულება, პიროვნული პოტენციალის სრულყოფილი რეალიზებისთვის ხელშეწყობა, ინტერდისციპლინური და ინტერკულტურული სამეცნიერო კვლევების, <u>სწავლა-სწავლების ინტერნაციონალიზაცია</u> და მართვის პროცესის დინამიკური განვითარება.“

2. წინამდებარე დადგენილების გათვალისწინებით იურიდიული დეპარტამენტის მიერ მომზადდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 28 ივნისის №40 დადგენილებით დამტკიცებული ბსუ-ს მისიის და 2018-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის“ კოდიფიცირებული ვერსია და ბსუ-ს ვებგვერდზე შესაბამის ველებში განთავსებისათვის გაეგზავნოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

3. დადგენილება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

4. დადგენილება დაეგზავნოს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, ინსტიტუტებს და ბსუ-ს დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს და ERASMUS+“-ის ინსტიტუციური განვითარების პროექტის „უნივერსიტეტების როლი რეგიონის განვითარებაში“ (RURD) ბსუ-ში კოორდინატორს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორ ხათუნა ბერიძეს.

5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი

მერაბ ხალვაში